საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 **ტ:** (+995 32) 2 244 040 **ფ:** (+995 32) 2 244 041 **ე:** public@gogc.ge www.gogc.ge
A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway **T:** (+995 32) 2 244 040 **F:** (+995 32) 2 244 041 **M:** public@gogc.ge www.gogc.ge

№ LE 300920/11-02 „30" 09 2020 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" ახორციელებს „აღმოსავლეთ-დასავლეთის" მაგისტრალური გაზსადენის „ნატახტარი-ლეხურას" მშენებლობის პროექტს. „კორპორაციის" და მის მიერ დაქირავებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა „აღმოსავლეთ-დასავლეთის" მაგისტრალური გაზსადენის ნატახტარი-ლეხურას მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში რის საფუძველზეც 22.11.2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომის მიერ გაიცა N86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

თავდაპირველად „კორპორაციის" მიერ განხორციელდა აღნიშნული პროექტის „ქსანი-ლეხურას" (პკ 174+50-დან პკ 313+96,87-მდე) დაახლოებით 14 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა.

მილსადენის დარჩენილ (პკ 0-დან პკ174+50-მდე) დაახლოებით 18 კმ-იან მონაკვეთზე ობიექტის სამშენებლოდ მომზადების ეტაპზე, საპროექტო გაზსადენის ტრასის გასწვრივ არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელების ნაწილთან ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა რის გამოც საჭირო გახდა N86 ეკოლოგიური ექსპერტიზით დამტკიცებული გაზსადენის სამშენებლო ტრასის უმნიშვნელო ცვლილება, კერძოდ საპროექტო გაზსადენის დერეფნის 23 მონაკვეთზე მოხდა სამშენებლო დერეფნის შემცირება და მილსადენის საპროექტო ღერძის მცირედი ცვლილება. გაზსადენის იმ მონაკვეთებზე, რომელსაც ცვლილება არ შეხებია, მიღებული ტექნიკური გადაწყვეტები დარჩა თავდაპირველი პროექტის შესაბამისად.

პროექტში შეტანილი ცვლილებები არის უმნიშვნელო და უმეტეს შემთხვევაში გაზსადენის კორექტირებული მონაკვეთები მცირედად იქნება გადახრილი თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ღერძიდან. დაგეგმილი ცვლილებები მხოლოდ მცირე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 15413
30 09 2020
2/CD
02

მანძილებზე შეიცვლის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებულ მარშრუტს, რაც არ არის დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შესაძლო ზრდასთან.

საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 თავის მე-8 პირობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „აღმოსავლეთ-დასავლეთის" მაგისტრალური გაზსადენის „ნატახტარი-ლეხურას" მშენებლობის და ექსპლოატაციის პროექტში შესული ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება.

დანართი№1: „აღმოსავლეთ-დასავლეთის" მაგისტრალური გაზსადენის „ნატახტარი-ლეხურას" მშენებლობის და ექსპლოატაციის პროექტში შესული ცვლილებების სკრინინგის ანგარიში;

დანართი №2: საპროექტო ტერიტორიის shp ფაილი.

პატივისცემით,

არჩილ დეკანოსიძე

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში